

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 17

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

25 სექტემბერი 2018 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე,
კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, თამარ შენგელია.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლებში სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლებში სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის მიერ შიდა სამუშაო გეგმის მომზადება და სხვადასხვა საკითხები, რომელიც დანართის სახით თან ერთვის.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლებში სამოქმედო გეგმის დამტკიცებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე